# შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის

# ბიზნესის სკოლის დოქტორანტურის და სადისერტაციო საბჭოს დებულება

# შინაარსი


თავი I.: ზოგადი დებულებები ..... 3
მუხლი 1. რეგულირების სფერო ..... 3
მუხლი 2. დოქტორანტურის მიზანი ..... 3
თავი II. დოქტორანტურა ..... 3
მუხლი 3. დოქტორანტურაში სწავლის უფლება ..... 3
მუხლი 4. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წინაპირობები ..... 3
მუხლი 5. დროებითი დარგობრივი კომისია და საკონკურსო გასაუბრება ..... 4
მუხლი 6. დოქტორანტურაში ჩარიცხვა ..... 4
მუხლი 7. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა ..... 5
თავი III. ბიზნესის სკოლის სადისერტაციო საბჭო ..... 5
მუხლი 8. ბიზნესის სკოლის  სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა და ფუნქციები ..... 5
მუხლი 9. ბიზნესის სკოლის  სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ..... 5
მუხლი 10. ბიზნესის სკოლის სადისერტაციო საბჭოს მდივანი ..... 6
მუხლი 11. ბიზნესის სკოლის  სადისერტაციო საბჭოს მუშაობის წესი ..... 6
თავი IV.  სადოქტორო პროგრამა ..... 7
მუხლი 12. სადოქტორო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განხილვა და დამტკიცება ..... 7
მუხლი 13. სადოქტორო პროგრამის მოცულობა ..... 7
მუხლი 14. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ..... 8
მუხლი 15. სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ..... 8
მუხლი 16. სადოქტორო პროგრამის თავისუფალი კომპონენტი ..... 8
მუხლი17. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი ..... 8
მუხლი18. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმები ..... 9
თავი V. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ..... 9
მუხლი 19. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ..... 9
მუხლი 20. სამეცნიერო ხელმძღვანელის და სადისერტაციო თემის შეცვლა ..... 10
თავი VI. დისერტაციის წარდგენა და დაცვა ..... 10
მუხლი 21. დისერტაცია ..... 10
მუხლი 22. სადისერტაციო თემის წარდგენასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები ..... 11
მუხლი 23. სადისერტაციო თემის წარდგენა ..... 11
მუხლი 24. დისერტაციის წინასწარი შეფასება ..... 11
მუხლი 25. სადისერტაციო კომისია ..... 12
მუხლი 26. დისერტაციის დაცვა ..... 13
მუხლი 27.  დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება ..... 14
მუხლი 28. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა ..... 15

# თავი I.: ზოგადი დებულებები

## მუხლი 1. რეგულირების სფერო

წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში სადოქტორო პროგრამის განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესს, აგრეთვე სადისერტაციო საბჭოს საქმიანობის ძირითად პრინციპებს, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, განათლების სფეროში არსებული სხვა ნორმატიული აქტების და უნივერსიტეტის დებულებების შესაბამისად.

## მუხლი 2. დოქტორანტურის მიზანი

დოქტორანტურის - უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხურის - მიზანია დოქტორანტის ინტელექტუალური ზრდა, აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოება, ქვეყანაში სამეცნიერო მუშაობის გააქტიურება და ხარისხის ამაღლება, საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში ჩართვა, ახალი ცოდნის შექმნისა და დანერგვისათვის ხელის შეწყობა.

# თავი II. დოქტორანტურა

## მუხლი 3. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

1. ბიზნესის სკოლის დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.
2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 4. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წინაპირობები

1. უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის სადოქტორო პროგრამაზე მიღება შეიძლება გამოცხადდეს წელიწადში ორჯერ - შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებისთვის.
2. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა ბიზნესის სკოლის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე უნდა წარადგინოს განაცხადი წინასწარ გამოცხადებული საკვლევი თემების მიხედვით. განაცხადს თან უნდა ერთვოდეს ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები:

- მონაცემები განათლების და შრომითი საქმიანობის შესახებ (CV);
- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დიპლომის დანართის ნოტარიულად დამოწმებული ასლები (თუ

დიპლომი და დიპლომის დანართი გაცემულია შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მიერ, დამოწმებას არ საჭიროებს);

- პირადობის მოწმობა და მისი ასლი;
- 2 ფოტოსურათი, ზომით ¾- ზე;
- უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის დამოწმებული ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- მიწერის მოწმობა და მისი ასლი, ან სამხედრო ბილეთი და მისი ასლი (სამხედრო ვალდებულთათვის);
- ხედვა საკვლევ თემაზე - მინიმუმ 2000 სიტყვის მოცულობით. რომელმაც უნდა აჩვენოს აპლიკანტის გამოცდილება და კვლევითი ინტერესები, მიზნები, დასმული პრობლემის გადაჭრის სავარაუდო გზები და საბოლოო შედეგები;
- სარეკომენდაციო წერილი - დარგის პროფესორის რეკომენდაცია, რომელიც ადასტურებს აპლიკანტის აკადემიურ მიღწევებს და მიუთითებს მის კვლევით პოტენციალზე.

3. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ “B2” (ინგლისურენოვანი პროგრამის შემთხვევაში “C1”) დონეზე ცოდნა, რაც დასტურდება ტესტირებით. პირი, რომელსაც აქვს შესაბამის დონეზე ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი (IELTS, TOEFL) ან/და წარმოადგენს პირველი, მეორე ან მესამე საფეხურის აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე ინგლისურ ენაზე არანაკლებ ერთი სემესტრის განმავლობაში სწავლის დამადასტურებელ საბუთს, ტესტირებისგან თავისუფლდება.

4. ტესტირების ორგანიზებას უზრუნველყოფს ბიზნესის სკოლის ადმინისტრაცია.

5. დოქტორანტურაში ჩარიცხვისთვის სავალდებულოა დროებითი დარგობრივი კომისიის შუამდგომლობა და თემის სავარაუდო ხელმძღვანელის რეკომენდაცია. დასკვნა, რომელიც აჯამებს აპლიკანტის ხედვას (კვლევის წინადადებას). (#5, 06.09.2019; #4, 15.05.2023)

## მუხლი 5. დროებითი დარგობრივი კომისია და საკონკურსო გასაუბრება

1. კონკურსანტი, რომელიც აკმაყოფილებს სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს დაიშვება გასაუბრებაზე დროებითო დარგობრივი კომისიის წინაშე.

2. დროებითი დარგობრივი კომისია იქმნება სკოლის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით სკოლის დეკანის ბრძანების საფუძველზე 5 წევრის შემადგენლობით. მის შემადგენლობაში შედიან სკოლის სადისერტაციო საბჭოს პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი.

3. დროებითი დარგობრივი კომისიის სხდომას და კონკურსანტის გასაუბრებას უნდა ესწრებოდეს კონკურსანტის სავარაუდო ხელმძღვანელი.

4. პირი ბიზნესის სკოლის დოქტორანტურაში ჩარიცხვის უფლებას მოიპოვებს, ხელმძღვანელის თანხმობის და ღია კენჭისყრაზე დროებითი დარგობრივი კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერის შემთხვევაში.

## მუხლი 6. დოქტორანტურაში ჩარიცხვა

1. გასაუბრების წარმატებით გავლის შემთხვევაში დროებითი დარგობრივი კომისიის რეკომენდაციით და სკოლის დეკანის წარდგინებით უნივერსიტეტის პრეზიდენტის

ბრძანების საფუძველზე პირი ირიცხება დოქტორანტურაში.
2. დოქტორანტურაში ჩარიცხვის შემთხვევაში უნივერსიტეტი, დოქტორანტი და სამეცნიერო ხელმძღვანელი არაუგვიანეს ერთი თვისა ხელს აწერენ ხელშეკრულებას, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა უფლება-ვალდებულებებს.

### მუხლი 7. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა

1. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე დოქტორანტს შეიძლება შეუწყდეს სტუდენტის სტატუსი:
ა. პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების გამო;
ბ. დოქტორანტის მიერ სასწავლო/კვლევითი პროცესის, წინამდებარე დებულებით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობის გამო;
გ. უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის;
დ. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
2. სადისერტაციო საბჭო საკითხს დოქტორანტისათვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ განიხილავს საკუთარი ინიციატივით, სამეცნიერო ხელმძღვანელის ან სკოლის დეკანის შუამდგომლობის საფუძველზე.

## თავი III. ბიზნესის სკოლის სადისერტაციო საბჭო

### მუხლი 8. ბიზნესის სკოლის სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა და ფუნქციები

1. ბიზნესის სკოლის სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო.
2. ბიზნესის სკოლის სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სკოლის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისგან.
3. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირები.
4. ბიზნესის სკოლის სადისერტაციო საბჭო:
ა. განიხილავს სკოლის სადოქტორო პროგრამას;
ბ. იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტისათვის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე;
გ. წყვეტს დოქტორანტის მიერ სწავლის გაგრძელების მიზანშეწონილობის საკითხს;
დ. იღებს გადაწყვეტილებას საკვლევი თემების დამტკიცებისა და გამოცხადების შესახებ;
ე. იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტისათვის სადისერტაციო თემების შეცვლის შესახებ;
ვ. იღებს გადაწყვეტილება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის შესახებ;
ზ. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის შემთხვევაში დოქტორის აკადემიური ხარისხის ჩამორთმევის შესახებ.
თ. ახორციელებს უნივერსიტეტის დებულებით, აკადემიური საბჭოს დადგენილებითა და წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

## მუხლი 9. ბიზნესის სკოლის  სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე

1. ბიზნესის სკოლის სადისერტაციო საბჭოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე.
2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან ირჩევს სადისერტაციო საბჭო 5 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით პირველივე სხდომაზე, რომელსაც უძღვება სკოლის დეკანი.
3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის დასახელების უფლება აქვს საბჭოს წევრთა არანაკლებ 4 კაციან ჯგუფს კანდიდატის წინასწარი თანხმობით.
4. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:
ა. ხელმძღვანელობას უწევს სადისერტაციო საბჭოს მუშაობას;
ბ. საჭიროებისამებრ იწვევს და უძღვება საბჭოს სხდომას;
გ. ორგანიზაციას უწევს თემატური სემინარის დაცვას;
დ. იღებს გადაწყვეტილებას შემფასებლების დანიშვნის შესახებ;
ე. ამზადებს წარდგინებას დოქტორანტისათვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ;
ვ. შეიმუშავებს რეკომენდაციას დოქტორანტის მიერ სწავლის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ;
ზ. ამტკიცებს დისერტაციის დაცვის თარიღს;
თ. განსაზღვრავს სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას;
ი. წელიწადში ერთხელ სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს გაწეული სამუშაოს და მომავალში ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ;
კ. ახორციელებს ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

## მუხლი 10. ბიზნესის სკოლის სადისერტაციო საბჭოს მდივანი

1. სადისერტაციო საბჭოს ორგანიზაციულ საქმიანობას უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს მდივანი.
2. სადისერტაციო საბჭოს მდივანს თავისი შემადგენლობიდან, თავმჯდომარის წარდგინებით, 5 წლის ვადით, დამსწრეთა უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით ირჩევს სადისერტაციო საბჭო.
3. სადისერტაციო საბჭოს მდივანი:
ა. აწარმოებს სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმებს;
ბ. ეხმარება თავმჯდომარეს სადისერტაციო საბჭოს ორგანიზაციული საქმიანობის უზრუნველყოფაში;
გ. აღრიცხავს დოქტორანტის სადისერტაციო დოკუმენტაციას;
დ. კონსულტაციას უწევს დოქტორანტს სათანადო დოკუმენტაციის მომზადებაში და აცნობს უნივერსიტეტში მოქმედ წესებს და რეგულაციებს;
ე. აარქივებს სადისერტაციო საბჭოს დოკუმენტაციას და უძღვება საბჭოს არქივს.

## მუხლი 11. ბიზნესის სკოლის  სადისერტაციო საბჭოს მუშაობის წესი

1. ბიზნესის სკოლის სადისერტაციო საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, სულ ცოტა წელიწადში ორჯერ.
2. სადისერტაციო საბჭოს სხდომას იწვევს თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით,

სკოლის დეკანის, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის ან სადისერტაციო საბჭოს სულ ცოტა სამი წევრის წინადადებით.
3. სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
4. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს დამსწრეთა უმრავლესობა.
5. სადისერტაციო საბჭოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.
6. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე მდივნის დაუსწრებლობის შემთხვევაში თავმჯდომარე უფლებამოსილია სხდომის მდივნის მოვალეობა დააკისროს სადისერტაციო საბჭოს ერთ-ერთ წევრს.

# თავი IV. სადოქტორო პროგრამა

## მუხლი 12. სადოქტორო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განხილვა და დამტკიცება

1. სადოქტორო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის მიზნით, პროგრამის აკრედიტაციის ვადით, სკოლის დეკანი ქმნის კომისიას და ნიშნავს პროგრამის ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს/კოორდინატორს.
2. კომისია შემუშავებულ სადოქტორო პროგრამას სკოლის საბჭოს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს განსახილველად წარუდგენს მხოლოდ სადისერტაციო საბჭოში პროგრამის არსებითი განხილვის და მოწონების შემდეგ. სკოლის საბჭოს გადაწყვეტილების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.
3. დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა ხდება პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

## მუხლი 13. სადოქტორო პროგრამის მოცულობა

1. სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი.
2. სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო (მათ შორის თავისუფალი) და სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტებისგან, საიდანაც არაუმეტეს 60 კრედიტისა ეთმობა სასწავლო კომპონენტს.
3. დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან ექვსი სემესტრის განმავლობაში დოქტორანტის მიერ სასწავლო და კვლევითი პროცესის დაუსრულებლობის შემთხვევაში, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი მიმართავს სკოლის სადისერტაციო საბჭოს სწავლის/კვლევის პროცესის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ დასაბუთებული შუამდგომლობით.
4. სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებით სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობაზე სადისერტაციო საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, დოქტორანტი ვალდებულია დაასრულოს დოქტორანტურაში სწავლა სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. (#5, 06.09.2019)

## მუხლი 14. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი

1. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სამეცნიერო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.
2. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი იყოფა სავალდებულო და არჩევით ელემენტებად.
3. სავალდებულო და არჩევითი ელემენტები განისაზღვრება სადოქტორო პროგრამით.

## მუხლი 15. სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი

1. სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მიზანია ჩამოუყალიბოს/განუვითაროს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი უნარები.
2. სადოქტორო პროგრამის სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტია სამეცნიერო ნაშრომი, რომლის შესრულება დასტურდება სადისერტაციო ნაშრომის წარდგენით და დაცვით.
3. დისერტაციის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სადოქტორო პროგრამით.

## მუხლი 16. სადოქტორო პროგრამის თავისუფალი კომპონენტი

1. სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს თავისუფალ კომპონენტს, რომელსაც დოქტორანტი აგროვებს არჩევითი სასწავლო კომპონენტის ნაცვლად ბიზნესის სკოლაში ან ქართულ- ამერიკულ უნივერსიტეტში არსებული სხვა იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული აკრედიტებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან დაგროვებული კრედიტების საქართველოს კანონმდებლობის მიხედვითაღიარების შემთხვევაში.

## მუხლი 17. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი

1. სადოქტორო პროგრამას ხელმძღვანელობს ბიზნესის სკოლის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
2. სადოქტორო პროგრამას შეიძლება ჰყავდეს მეორე ხელმძღვანელი/კოორდინატორი.
3. სადოქტორო პროგრამის მეორე ხელმძღვანელი/კოორდინატორი შეიძლება იყოს მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი აკადემიური ხარისხი და დარგობრივი კვალიფიკაცია.
4. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი:
ა. კოორდინირებას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მოქმედ პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცესს;

ბ. უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავებაში/განხორციელებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას;
გ. კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობას;
დ. ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების, საგანმანათლებლო პროგრამის და პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების სისტემატურ ანალიზს, რომლის შედეგებს წარუდგენს სკოლის საბჭოს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
ე. საგანმანათლებლო პროგრამასთან და პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებთან დაკავშირებით ინფორმაციას აწვდის და კონსულტაციას უწევს სტუდენტებს, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ პირებს;
ვ. აგვარებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხებს.
5. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი არის სკოლის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითადი საკონტაქტო პირი, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალება მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით.
6. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია სკოლის საბჭოს და სადისერტაციო საბჭოს წინაშე.

### მუხლი 18. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმები

1. დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან ერთი თვის განმავლობაში დოქტორანტი თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო და ინდივიდუალურ კვლევით გეგმებს.
2. სკოლის ადმინისტრაცია სადისერტაციო საბჭოს წერილობით აცნობებს დოქტორანტის მიერ სასაწავლო კომპონენტის სრულად შესრულების ფაქტს და წარუდგენს დოქტორანტის ნიშნის ფურცელს.
3. დოქტორანტის ინდივიდუალურ კვლევით გეგმაში მოცემული უნდა იყოს კვლევის მიზანი, სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის შესრულების სავარაუდო გრაფიკი.

## თავი V. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

### მუხლი 19. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

1. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ბიზნესის სკოლის სადისერტაციო საბჭოს წევრი პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი და დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება.
2. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ა. კონტროლს უწევს დოქტორანტის მიერ სასწავლო კომპონენტის შესრულებას;

ბ. კონსულტაციას უწევს დოქტორანტს კვლევითი კომპონენტის შესრულებაში. ამ მიზნით ახორციელებს დოქტორანტთან რეგულარულ შეხვედრა-კონსულტაციებს შემდეგ აქტუალურ საკითხებზე:

- ინდივიდუალური კვლევითი გეგმის შემუშავება;
- სამეცნიერო ლიტერატურისა და ბაზების მოძიება;
- კვლევის დიზაინის შერჩევა;
- დისერტაციის წერის პროცესის სწორად დაგეგმვა და განხორციელება;
- ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა და შედეგების წარდგენის პროცესი;
- ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესი;
- სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნება;

გ. ახდენს დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ შეფასებას.

3. დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი.

4. სამეცნიერო ხელმძღვანელისადმი მიმაგრებული დოქტორანტის რაოდენობა გამომდინარეობს სამეცნიერო ხელმძღვანელის სასწავლო და კვლევითი დატვირთვიდან.

### მუხლი 20. სამეცნიერო ხელმძღვანელის და სადისერტაციო თემის შეცვლა

1. დოქტორანტის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე სემესტრის დასაწყისში შეიძლება შეიცვალოს სამეცნიერო ხელმძღვანელი.

2. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება შეიცვალოს თვითონ სამეცნიერო ხელმძრვანელის დასაბუთებული მოთხოვნით.

3. სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის შემთხვევაში დოქტორანტის ძველი და ახალი სამეცნიერო ხელმძღვანელების თანხმობით შეიძლება არ შეიცვალოს სადისერტაციო თემა.

4. დოქტორანტის და ხელმძღვანელის დასაბუთებული მოთხოვნით შეიძლება სემესტრის დასაწყისში შეიცვალოს სადისერტაციო თემის სახელწოდება/სადისერტაციო თემა.

## თავი VI. დისერტაციის წარდგენა და დაცვა

### მუხლი 21. დისერტაცია

1. დისერტაცია უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს. დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს სამეცნიერო დარგის განვითარებაში.

2. დისერტაცია როგორც წესი სრულდება ქართულ ენაზე. ინგლისურ ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს ბიზნესის სკოლის სადისერტაციო საბჭო. ინგლისურენოვან პროგრამაზე სადისერტაციო ნაშრომი იწერება ინგლისურ ენაზე.

3. დისერტაციის ინგლისურ ენაზე შესრულების შემთხვევაში, სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგები წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.
4. დისერტაციის არქიტექტონიკა განისაზღვრება სადოქტორო პროგრამით.

## მუხლი 22. სადისერტაციო თემის წარდგენასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები

1. დოქტორანტი დისერტაციის საჯარო დაცვაზე დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ საკვლევი თემის ფარგლებში გამოქვეყნებული აქვს სტატია ან მიღებულია დასაბეჭდად იმპაქტ-ფაქტორის peer reviewed ჟურნალში, ან/და რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ ან ბეჭვდით ჟურნალში, ან/და საზღვარგარეთ გამოცემულ შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში.
2. წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებულ მოთხოვნას უტოლდება სადისერტაციო თემის სრული ან შემოკლებული ვერსიის (30-60 გვერდი) საერთაშორისო რეცენზირება.
3. დისერტაციის საჯარო დაცვაზე დასაშვებად „უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესის“ შესაბამისად ასევე აუცილებელია სკოლის დეკანის გადაწყვეტილება ან/და სკოლის სამეცნიერო/კვლევითი ნაშრომის შეფასების კომისიის დასკვნა. (#5, 06.09.2019)

## მუხლი 23. სადისერტაციო თემის წარდგენა

1. დისერტაცია ბიზნესის სკოლის სადისერტაციო საბჭოს წარედგინება ოთხ აკინძულ ბეჭდურ და ერთ ელექტრონულ ეგზემპლარად, უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განსათავსებლად.
2. დისერტაციის დაცვაზე დასაშვებად:
- დისერტანტმა სადისერტაციო საბჭოს უნდა წარუდგინოს ცნობა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის შესრულების თაობაზე;
- სადისერტაციო ნაშრომის წარდგენამდე სულ მცირე სამი სემესტრის განმავლობაში ხელმძღვანელის თანხმობით შესრულებული ანგარიში ინდივიდუალურ კვლევით გეგმაში გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების შესახებ. (ზემოხსენებული მოთხოვნა ძალაში შედის 2020 წლის საგაზაფხულო სემესტრიდან); (#5, 06.09.2019)
- სამეცნიერო ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელის) დასკვნა იმის თაობაზე, რომ იგი გაეცნო დისერტაციას და ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე დასაშვებად;
- წინამდებარე დებულების 22-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სადისერტაციო თემის ანტიპლაგიატის პროგრამაზე შემოწმების ანგარიში. (#4, 15.05.2023)

## მუხლი 24. დისერტაციის წინასწარი შეფასება

1. სადისერტაციო თემის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 დღისა სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე იღებს გადაწყვეტილებას ორი შემფასებლის (რეცენზენტის) გამოყოფის შესახებ.
2. სადისერტაციო თემის ერთი შემფასებელი უნდა იყოს ბიზნესის სკოლის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, ხოლო მეორე შესაბამის სფეროში დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი უნივერისტეტის გარეთ. ზემოაღნიშნული წესიდან გამონაკლისი დაიშვება ბიზნესის სკოლის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე განსაკუთრებულ შემთხვევებში. (#5, 06.09.2019)
3. შემფასებლები (რეცენზენტები) სადისერტაციო საბჭოს დასკვნას წარუდგენენ სადისერტაციო თემის გადაცემიდან არაუგვიანეს 2 თვისა.
4. შემფასებლები (რეცენზენტები) სადისერტაციო თემას აფასებენ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- სადისერტაციო თემის აქტუალობა;
- გამოყენებული კვლევის მეთოდები;
- მიღებული მეცნიერული შედეგები;
- გამოყენებული მეცნიერული ლიტერატურა და წყაროები;
- სადისერტაციო თემის გაფორმების ხარისხი და სხვა.

5. შემფასებლები (რეცენზენტები) იღებენ გადაწყვეტილებას სადისერტაციო თემის საჯარო დაცვაზე დაშვების ან არდაშვების შესახებ.
6. თუ ერთი შემფასებელი (რეცენზენტი) მიიღებს გადაწყვეტილებას სადისერტაციო თემის დაცვაზე არდაშვების შესახებ, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით ინიშნება მესამე შემფასებელი (რეცენზენტი). მესამე შემფასებელს თემის შეფასებისათვის ეძლევა 1 თვე.
7. თუ მესამე შემფასებელი (რეცენზენტი) მიიღებს გადაწყვეტილებას სადისერტაციო თემის დაცვაზე არ დაშვების შესახებ, სადისერტაციო თემა დაცვაზე არ დაიშვება.
8. სადისერტაციო თემის დაცვაზე დაუშვებლობის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დისერტანტს ეძლევა სადისერტაციო თემაზე დამატებითი მუშაობის უფლება, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლისა. დადგენილ ვადაში გადამუშავებული სადისერტაციო თემის წარმოუდგენლობის შემთხვევაში დოქტორანტს უწყდება სტატუსი.
9. გადამუშავებული დისერტაცია სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტლებით გადაეცემათ იმავე ან სხვა შემფასებლებს (რეცენზენტებს). ერთი შემფასებლის (რეცენზენტის) მიერ დისერტაციის დაცვაზე არდაშვების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დისერტაცია დაცვაზე არ დაიშვება და დოქტორანტს უწყდება სტატუსი.
10. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დოქტორანტს წერილობით უნდა აცნობოს შემფასებლის (რეცენზენტის) მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. დოქტორანტი ეცნობა სადისერტაციო ნაშრომის შეფასებებს.

## მუხლი 25. სადისერტაციო კომისია

1. დისერტაციის დაცვაზე დაშვების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე არაუგვიანეს ორი კვირისა ქმნის სადისერტაციო კომისიას.

2. სადისერტაციო კომისია შედგება სადისერტაციო თემის შესაბამისი სამეცნიერო სფეროს წარმომადგენელი სულ ცოტა ხუთი წევრისგან.
3. სადისერტაციო კომისიის წევრი შეიძლება იყოს როგორც ბიზნესის სკოლის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, ისე შესაბამის სფეროში დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირი. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან აგრეთვე დისერტაციის შემფასებლები (რეცენზენტები).
4. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე უნდა იყოს ბიზნესის სკოლის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, რომელიც არ არის შემფასებელი (რეცენზენტი).
5. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცებიდან ერთი კვირის ვადაში სადისერტაციო საბჭოს მდივანი გადასცემს კომისიას სადისერტაციო თემას და შემფასებლების (რეცენზენტების) დასკვნებს.
6. სადისერტაციო კომისია იღებს გადაწყვეტილებას დაცვის თარიღის შესახებ.
7. სადისერტაციო საბჭოს მდივანი ატყობინებს დოქტორანტს სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას, დაცვის თარიღს, ადგილს და უთანხმდება გარეშე პირთა დასწრების შესაძლებლობასა და მათ დასაშვებ რაოდენობაზე, მინიმუმ დაცვის თარიღამდე ერთი თვით ადრე.

## მუხლი 26. დისერტაციის დაცვა

1. დისერტაციის დაცვა არის საჯარო. დაცვის შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ გვერდზე დაცვის თარიღამდე ორი კვირით ადერე.
2. დაცვის ენაა ქართული, თუმცა შეიძლება სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დადგინდეს განსხვავებული პირობები.
3. სადისერტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ¾.
4. თუ დისერტაციის დაცვას საპატიო მიზეზით არ ესწრება ერთ-ერთი შემფასებელი (რეცენზენტი), სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე მის დასკვნას კითხულობს სრულად.
5. თუ კომისიის სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრება სამეცნიერო ხელმძღვანელი, იგი წინასწარ წერილობით ატყობინებს კომისიას ამის თაობაზე და უგზავნის დოქტორანტის პიროვნულ დახასიათებას.
6. თუ დოქტორანტი საპატიო მიზეზით ვერ გადის დისერტაციის დაცვაზე ან არ შედგა სადისერტაციო კომისიის ქვორუმი, სადისერტაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას იმავე სემესტრში დისერტაციის დაცვის ახალი თარიღის შესახებ.
7. სადისერტაციო კომისიის სხდომაზე თავმჯდომარე აცხადებს დისერტანტის ვინაობას, სადისერტაციო თემას, ხელმძღვანელისა და შემფასებლების (რეცენზენტების) ვიანობას, დისერტაციის დაცვის პროცედურას და დისერტანტის მოკლე ბიოგრაფიას.
8. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურა ითვალისწინებს თემის პრეზენტაციას, სამეცნიერო კამათს და კომისიის დასკვნას.
9. დისერტანტის მხრიდან თემის პრეზენტაცია გულისხმობს - თემის წარმოდგენას, მეცნიერული სიახლეებისა და კვლევის შედეგების მკაფიოდ წარმოჩენას, რომლის ხანგრძლივობას კომისია წინასწარ უთანხმებს დოქტორანტს 20-40 წუთის ფარგლებში. თემის პრზენტაციისას დისერტანტი იყენებს თვალსაჩინოებებს.
10. თემის პრეზენტაციას მოსდევს სამეცნიერო კამათი, რომლის ხანგრძლივობა არ უნდა

იყოს 90 წუთზე მეტი. დისერტანტი პასუხობს, როგორც კომისიის წევრების, ისე დამსწრე საზოგადოების შეკითხვებს. შემფასებლები (რეცენზენტები) კომისისას და დამსწრე საზოგადოებას აცნობენ თავის შეფასებებს, დისერტანტი ვალდებულია უპასუხოს მათ მოსაზრებებს. სამეცნიერო კამათის მიმდინარეობის პროცედურას და რიგითობას განსაზღვრავს კომისია.

11. სამეცნიერო კამათის დასრულების შემდეგ დისერტანტს ეძლევა დასკვნითი სიტყვა, არაუმეტეს 15 წუთისა.

12. სადისერტაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დახურულ სხდომაზე. სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება წარმოებს კონფიდენციალურად, ას ქულიანი სისტემით, საიდანაც გამოითვლება ქულათა საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი იყოფა კომისიის წევრთა რაოდენობაზე).

13. სადისერტაციო თემის შეფასება წარმოებს შემდეგი შეფასების სისტემით:

ა) ფრიადი (summa cum laude )- შესანიშნავი ნაშრომი - შეფასების 91-100 ქულა;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude ) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

გ) კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ვ) არადამაკმაყოფილებებლი (insufficient) - არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებებლი - (sub omni canone) - შემდეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები.

14. დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

15. არადამაკმაყოფილებებლი (insufficient) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის ერთი წლის განმავლობაში წარდგენის უფლება.

16. სრულიად არადამაკმაყოფილებებლი - (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

17. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე კომისიის გადაწყვეტილებას აცხადებს საჯაროდ. სადისერტაციო კომისიის გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

18. დისერტაციის დაცვაზე, მის მსვლელობასა და საბოლოო შედეგზე დგება დისერტაციის დაცვის ოქმი, რაზეც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

19. დისერტაცია ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

## მუხლი 27. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება

1. დისერტაციის დაცვაზე დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს

აკადემიურ ხარისხს ანიჭებს ბიზნესის სკოლის სადისერტაციო საბჭო. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის ფორმულირება ხდება ერთიანი პრინციპით: კონკრეტული დარგის სახელწოდება ნათესაობითი ბრუნვის ფორმით - დოქტორი.
2. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შემთხვევაში პირს ეძლევა აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი.
3. დიპლომს ხელს აწერს სკოლის  დეკანი, უნივერსიტეტის პრეზიდენტი.

## მუხლი 28. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა

1. სადისერტაციო საბჭო ვალდებულია აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის შემთხვევაში თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილება დოქტორის აკადემიური ხარისხის ჩამორთმევის შესახებ.
2. თუ დისერტაციის დაცვის და აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდეგ დადგინდა პირის მიერ პლაგიატის ან დისერტაციის საბუთების გაყალბების ფაქტი, ნებისმიერ დროს, საბჭო ბათილად ცნობს აკადემიურ ხარისხს და აუქმებს დიპლომს.